

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის 2007-2008 წლების სამოქმედო გეგმა

ამოცანა	მიზანი	საქმიანობა	შემსრულებელი	ვადები	ინდიკატორები
<p><b>1. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის პრევენცია</b></p>	<p>1. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის არსისა და მასთან ბრძოლის მეთოდების შესახებ ადამიანთა ცნობიერების ამაღლება</p>	<p>1.1. საინფორმაციო-საგანმანათლებლო კამპანიის წარმართვა: ვიდეო რგოლების, რადიო და სატელევიზიო გადაცემების მომზადება;</p> <p>1.2. ბეჭდვითი საინფორმაციო მასალების მომზადება და გავრცელება სამოქალაქო რეესტრის სამსახურებში, საქართველოს საკონსულო დაწესებულებებში, საქართველოში მოქმედ ტურისტულ და დასაქმების სააგენტოებში, საქართველოს სახელმწიფო საზღვარსა და სხვა პოტენციური რისკის მქონე რეგიონებში გასავრცელებლად.</p>	<p>1.1. საკოორდინაციო საბჭო; ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა/ დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი (<i>შემდგომში - ფონდი</i>), საზოგადოებრივი მაუწყებელი</p> <p>(დაინტერესებულ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით)</p> <p>1.2. მომზადება: იუსტიციის სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტრო, საგარეო საქმეთა სამინისტრო, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ფონდი</p>	<p>გეგმის მოქმედების მანძილზე</p>	<p>დაბეჭდილი და დარიგებული ბეჭდვითი საინფორმაციო მასალის/ ჩატარებული კამპანიების სახეობათა რაოდენობა, დარიგებულ მასალის ეგზემპლართა რაოდენობა, მომზადებული გადაცემების რაოდენობა და თემატიკა, გამართული საჯარო დისკუსიის რაოდენობა, მოცული რეგიონების რაოდენობა.</p>

			<p>(დაინტერესებულ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით)</p> <p><u>გავრცელება:</u> შინაგან საქმეთა სამინისტრო, იუსტიციის სამინისტრო, საგარეო საქმეთა სამინისტრო, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ფონდი</p> <p>(დაინტერესებულ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით)</p> <p>1.3. უმაღლესი განათლების დაწესებულებებში საჯარო დისკუსიების გამართვა ტრეფიკინგის თემაზე</p> <p>1.3. საკოორდინაციო საბჭო; ფონდი</p> <p>(დაინტერესებულ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით)</p>		
	<p>2. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თავიდან აცილების უახლესი მეთოდოლოგიების გაცნობა და მათი დანერგვის ხელშეწყობა</p>	<p>2. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ სპეციალური ტრენინგების ჩატარება შემდეგი მიზნობრივი ჯგუფებისათვის მათი მუშაობის სპეციფიკის გათვალისწინებით:</p> <p>ა) მესაზღვრეები,  ბ) უბნის ინსპექტორები;  გ) ჯანმრთელობის დაცვის სფეროს მუშაკები,  დ) მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა თანამშრომლები,</p>	<p>2. ფონდი, შესაბამისი სახელმწიფო უწყებები</p> <p>(დაინტერესებულ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით)</p>	<p>გეგმის მოქმედების მანძილზე</p>	<p>ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა, გაწვრთნილ ადამიანთა რაოდენობა, შეფასება-ტესტი</p>

		<p>ე) განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანამშრომლები,  ვ) საკონსულო დაწესებულებების თანამშრომლები</p>			
3. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის თავიდან აცილების მექანიზმების გაცნობა არასრულწლოვანთათვის	<p>3. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება და სრულყოფა:  ა) ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო პროგრამაში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესახებ არსებული საგანმანათლებლო <b>სტანდარტების</b> დანერგვა და დახვეწა;  ბ) ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესახებ <b>საჩვენებელი გაკვეთილის მოდულის</b> შექმნა და სპეციალურად მომზადებული მასწავლებლებისა და მიწვეული ექსპერტების მიერ აღნიშნული მოდულის საფუძველზე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში საჩვენებელი გაკვეთილების ჩატარება განსაკუთრებული აქცენტით მაღალი რისკის რეგიონებში;  გ) საგანმანათლებლო ღონისძიებათა ჩატარება ობოლ და მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სახლებსა და თავშესაფრებში.</p>	<p>3. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო</p> <p>(დაინტერესებულ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, დამოუკიდებელ ექსპერტებთან თანამშრომლობით)</p>	გეგმის მოქმედების მანიქლზე	შემუშავებული მოდული; ჩატარებული გაკვეთილების რაოდენობა	
4. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მასშტაბების კვლევა	<p>4.1. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შემთხვევების ანალიზი მსხვერპლთა/დაზარალებულთა ანონიმურობის დაცვით, დაწვეულ საქმეებზე გამოძიებების ჩათვლით;  4.2. მსხვერპლთა ანონიმური კვლევა მათი წარმოშობის რეგიონის, მსხვერპლად გახდომის მიზეზების გამოკვლევაზე აქცენტირებით;  4.3. ბავშვებით ვაჭრობის/ტრეფიკინგის გამომწვევი მიზეზებისა და მასშტაბების</p>	<p>4. საკოორდინაციო საბჭო; გენერალური პროკურატურა; ფონდი</p> <p>(დაინტერესებულ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით)</p>	გეგმის მოქმედების მანიქლზე	კვლევა	

		<p>კვლევა:</p> <p>4.4. კვლევათა წლიური ანგარიშების შეჯამება.</p>			
<p>2. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა/ დაზარალებულთა დაცვა</p>	<p>5. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა/ დაზარალებულთა სამართლებრივი დაცვის მექანიზმის გაძლიერება</p>	<p>5.1 კანონმდებლობის ანალიზი და საჭიროების შემთხვევაში საკანონმდებლო ცვლილებების მომზადება კანონმდებლობაში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა/დაზარალებულთა დაცვის შესახებ;</p> <p>5.2. ადამიანით ვაჭრობის(ტრეფიკინგის) მცირეწლოვან და არასრულწლოვან მსხვერპლთა/დაზარალებულთა დაცვის ზომების საკანონმდებლო ცვლილების მომზადება საჭიროების შემთხვევაში.</p> <p>5.3. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის შემთხვევაში დაზარალებულისა და მოწმის მიმართ სისხლის სამართლის პროცესის განმავლობაში და შემდეგ დაცვის სპეციალური ზომების აქტიურად გამოყენების დანერგვის ხელშეწყობა.</p>	<p>5.1. საქართველოს მთავრობა, საკოორდინაციო საბჭო, ფონდი</p> <p>(დაინტერესებულ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით)</p> <p>5.2. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, საქართველოს მთავრობა</p> <p>(დაინტერესებულ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით)</p> <p>5.3. საკოორდინაციო საბჭო, ფონდი</p> <p>(დაინტერესებულ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით)</p>	<p>გეგმის მოქმედების მანძილზე</p>	<p>მომზადებული საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი</p> <p>უფასო იურიდიული დახმარების პროგრამის არსებობა</p> <p>დაცვის სპეციალური ზომების გამოყენების რაოდენობა, იმ მოწმეთა და დაზარალებულთა რაოდენობა, რომლებიც თანამშრომლობენ გამოძიებასთან.</p>
	<p>6. ეროვნული რეფერალური მექანიზმის დახვეწა</p>	<p>6. ეროვნული რეფერალური მექანიზმით გათვალისწინებული თანამშრომლობის კოორდინაცია და სრულყოფა</p>	<p>6. საკოორდინაციო საბჭო, ფონდი</p> <p>(დაინტერესებულ არასამთავრობო და</p>	<p>გეგმის მოქმედების პერიოდში</p>	<p>ეროვნული რეფერალური მექანიზმის პრაქტიკული განხორციელების შესახებ</p>

			საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით)		კვლევა
	7. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა/ დაზარალებულთა თავშესაფართა ქსელის განვითარება	7.1 თავშესაფრების საქმიანობის პერიოდული მონიტორინგი მათი სრულყოფის მიზნით  7.2. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთათვის და დაზარალებულთათვის თავშესაფრის შექმნა თბილისში (10 ადამიანზე გათვლით).	7. ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო;  ფონდი  (დაინტერესებულ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით)	7.1. გეგმის მოქმედების პერიოდში  7.2. 2007 წლის II ნახევარი	თბილისში შექმნილი ტრეფიკინგის მსხვერპლთა/და დაზარალებულთა თავშესაფარი (10 ადამიანზე გათვლით), რომელიც აკმაყოფილებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ დამტკიცებულ სტანდარტებს
	8. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა/დაზა რალეულთა სამშობლოში ნებაყოფლობითი, უსაფრთხო დაბრუნებისა და რეინტეგრაციის ხელშეწყობა	8.1. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საქართველოს მოქალაქე/საქართველოში მუდმივად მცხოვრებ მოქალაქეობის არმქონე მსხვერპლთა და დაზარალებულთა სამშობლოში უსაფრთხო დაბრუნების ხელშეწყობა;  8.2. მსხვერპლთა/დაზარალებულთა დახმარებისა და რეინტეგრაციის პროგრამების შემუშავება  8.3. უცხო ქვეყნის მოქალაქე/ მოქალაქეობის არ მქონე ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა/დაზარალებულთა საქართველოში დროებითი ყოფნის პროცედურების დახვეწა  8.4. უცხო ქვეყნის მოქალაქე/ მოქალაქეობის არ მქონე ადამიანით	8.1. საგარეო საქმეთა სამინისტრო, ფინანსთა სამინისტრო  8.2. ფონდი, ფინანსთა სამინისტრო  8.3. იუსტიციის სამინისტრო; საკოორდინაციო საბჭო	გეგმის მოქმედების პერიოდში	სამშობლოში დაბრუნებული მოქალაქეების რაოდენობა

		ვაჭრობის ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა/დაზარალებულთა საქართველოდან წარმოშობის სახელმწიფოში დაბრუნების ხელშეწყობა;	8.4. ფონდი, ფინანსთა სამინისტრო  (დაინტერესებულ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით)		
<b>3. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის სისხლის სამართლებრივი დევნა</b>	9. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის სპეციფიკის გაცნობა	9. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ სპეციალური ტრენინგების ჩატარება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის და მის წინააღმდეგ ბრძოლის სპეციფიკის გათვალისწინებით, სისხლის სამართლებრივი დევნის უახლესი მეთოდების შესახებ შემდეგი მიზნობრივი ჯგუფებისათვის:  ა) შინაგან საქმეთა სამინისტროს მუშაკები ბ) პროკურატურის მუშაკები გ) მოსამართლეები	9. შინაგან საქმეთა სამინისტრო  გენერალური პროკურატურა  იუსტიციის უმაღლესი საბჭო	გეგმის მოქმედების მანძილზე	ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა, გაწვრთნილ ადამიანთა რაოდენობა, შეფასება-ტესტი
	10. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საქმეთა გამოძიების ხარისხის გაუმჯობესება	10.1. გამოძიების ტექნიკის დახვეწა და შესაბამისი საპროცესო ნორმების გაუმჯობესება.  10.2. სისხლის სამართლის პროცესის განმავლობაში სხვა სახელმწიფოთა სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობა.	10. შინაგან საქმეთა სამინისტრო, გენერალური პროკურატურა	გეგმის მოქმედების მანძილზე	გამოძიებულ საქმეთა რაოდენობა
<b>4. ზოგადი საკითხები</b>	11. სახელმწიფო დაწესებულებების მიერ სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ ვალდებულებების შესრულების მონიტორინგი და	11.1. სამთავრობო სტრუქტურების მიერ კვარტალური ანგარიშების მომზადება ამ გეგმით გათვალისწინებული საქმიანობის შესახებ და საკოორდინაციო საბჭოსთვის წარდგენა	11.1. შინაგან საქმეთა სამინისტრო, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო, საგარეო საქმეთა სამინისტრო განათლებისა და	კვარტალურად, გეგმის მოქმედების მანძილზე	წარმოდგენილი ანგარიშების რაოდენობა

	სამომავლო საქმიანობის დაგეგმვა	11.2. საკოორდინაციო საბჭოს მიერ სამოქმედო გეგმის შესრულების კონტროლი, შეფასება და დამატებითი რეკომენდაციებისა და წინადადებების შემუშავება	მეცნიერების სამინისტრო, გენერალური პროკურატურა, იუსტიციის სამინისტრო, ფინანსთა სამინისტრო  11.2. საკოორდინაციო საბჭო		
	12. საქმიანობის კოორდინაცია	12. სხვა სახელმწიფოებთან, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან საქართველოს მთავრობის საქმიანობის კოორდინაცია	12. საკოორდინაციო საბჭო, საგარეო საქმეთა სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტრო, ფონდი	გეგმის მოქმედების მანძილზე	შეხვედრების რაოდენობა, ერთობლივად განხორციელებულ ღონისძიებათა რაოდენობა
	13. მომავალი სამოქმედო გეგმის მომზადების ხელშეწყობა	13. სპეციალური კვლევების ჩატარების კოორდინირება შემდგომი საჭიროებების გამოკვეთისა და სტრატეგიის დაგეგმვის მიზნით	13. საკოორდინაციო საბჭო	2008 წლის II ნახევარი	კვლევები